## მომსახურების შესყიდვის ხელშეკრულება №30-16

ქ.ახმეტა 18 ივნისი 2016 წელი

ერთის მხრივ, სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის მატნის #1 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ნელი ტერტერაშვილის სახით და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი შოთა ბოტკოველი , (შემდგომში - მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის „ს¹" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

### მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ტრანსპორტით მომსახურების შესყიდვა (CPV: 60171000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

### მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს 187,50 (ასოთხმოცდაშვიდი ლარი და50 თეთრი) ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადს და მოსაკრებელს

### მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

### მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1. მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი - ქ. ახმეტა, სოფელი მატანი

4.2. მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

### მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, კერძოდ:

---

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის #1 საჯარო სკოლის დირექტორი ან მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი.

6.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

8.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს ფორსმაჟორული გარემოების შექმნის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

8.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

9.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2016 წლის 31 ივლისის ჩათვლით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღემატებოდეს მომსახურების მიღების ვადას)

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:

სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის #1 საჯარო სკოლა
ს/კ 224628099
მის. : ქ. ახმეტა , მატანი
ტელ:

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი
ა/ა GE54LB0121137731742000

დირექტორი

მიმწოდებელი:

ფიზიკური პირი შოთა [illegible]
ს/კ 20001010679
მის.: ახმეტა
ტელ.:

საბანკო რეკვიზიტები:
ს/ს ,,ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი
ა/ა GE95LB0711135860393000

დირექტორი

(ხელმოწერა)

მიღება-ჩაბარების აქტი

21. 06.2016 წელი

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ მატნის №1 საჯარო სკოლა მისი ხელმძღვანელის ნელი ტერტერაშვილის სახით („შემდგომში „დამკვეთი") და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი ჟოთა ბოტკოველი (შემდგომში „შემსრულებელი") ამ აქტით ვადასტურებთ, რომ „დამკვეთმა" „შემსრულებელს" გაუწია №30-16 ხელშეკრულებაში აღნიშნული მომსახურება რაშიც „დამკვეთმა" „შემსრულებელს" გადაუხადა 187.50 (ასოთხმოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარი. (გადასახადების ჩათვლით)

აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელისმოწერით:

„დამკვეთი" — „შემსრულებელი"

მატნის №1 საჯარო სკოლა: — ჟ. ბოტკოველი ჟოთა ბოტკოველი

ახმეტის მუნიციპალიტეტის სსიპ
სოფ მატნის #1 საჯარო სკოლა
2016 წლის ივნისის თვის სახელფასო უწყისი

| | გვარი სახელი | თანამდებობა | თანამდებობრივი ხელფასი | საშემოსავლო გადასახადის თანხა | პროფ. საწევრო | ხელზე გასაცემი თანხა | ხელმოწერა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | | 12 | | 13 | 16 |
| 1 | შოთა ბოტკოველი | დაქ მძღოლი | 187.50 | 37.50 | | 150.00 | პლასტიკური |
| ჯამი | | | 187.50 | 37.50 | 0.00 | 150.00 | |

დირექტორი:

ბუღალტერი:

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 2234

თარიღი: 2016 წლის 21 06, სამშაბათი

| | |
|---|---|
| გადამხდელის დასახელება: | სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის #1 საჯარო სკოლა |
| ანგარიში (დებეტი): | GE54LB0121137731742000 |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი: | LBRTGE22 |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება: | - |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: | 101001000 გადასახადები - გადასახადების ერთიანი კოდი |
| მიმღების დასახელება: | ერთიანი საბიუჯეტო ანგარიში |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| ანგარიში (კრედიტი): | 200122900 |
| მიმღების ბანკი: | სახელმწიფო ხაზინა |
| ბანკის კოდი: | TRESGE22 |
| გადახდის დანიშნულება: | საშემოსავლო |

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

| GEL | |
|---|---|
| GEL | 37.50 |
| თანხა სიტყვიერად | ოცდაჩვიდმეტი GEL და 50 |

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 21.06.2016

ხელმოწერა:

---

ლიბერთი ბანკი

საგადახდო დავალება #: 2235

თარიღი: 2016 წლის 21 06, სამშაბათი

| | |
|---|---|
| გადამხდელის დასახელება: | სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ მატნის #1 საჯარო სკოლა |
| ანგარიში (დებეტი): | GE54LB0121137731742000 |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი: | LBRTGE22 |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება: | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | |
| საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: | |
| მიმღების დასახელება: | შოთა ბოტკოველი |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | 20001010679 |
| ანგარიში (კრედიტი): | GE95LB0711135860393000 |
| მიმღების ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" |
| ბანკის კოდი: | LBRTGE22 |
| გადახდის დანიშნულება: | მომსახურების ანაზღაურება |

ხელმოწერა:

ბ.ა.

დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან

| GEL | |
|---|---|
| GEL | 150.00 |
| თანხა სიტყვიერად | ას ორმოცდაათი GEL და 00 |

ბანკის აღნიშვნები

ბანკში შემოსვლის თარიღი: 21.06.2016

ხელმოწერა: